„ეშმაკის მათრახი“
Юмор. жур.
Эшмаки Матрахи

11 მაისი, 1908 წ. ფასი ცალკე 10 კ.



იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი



№ 30



თავისუფალი ვაჭრობა. (იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცხვედამის მოთქმა.

ხუთ წელიწადს გაშენებდი
ნეტავი რათაო,
ვაით გშობე ვუით გზარდე,
რა დაგემართაო.
რა ვიცოდი გაგწირავდენ
გასაყიდათაო,
ანუ ვალი ამოდენი
ბანკის ემართაო.
თითო თითო აგურზედა
ცრემლი გაპკურეო,
გვერდი კირით შეგითეთრე
ქეშტით დაგხურეო.
გალავანსაც გიკეთებდი
ღელეზე ბოგასო,
ჩემი ძალა, ჩემი ღონე
არ დამიზოგავსო.
მე იმედებს ვამყარებდი
შენზედ დიდათაო,
რა ვიცოდი გაგწირავდენ
გასაყიდათაო.
ინსპექტორს და მასწავლებლებს
რა ენაღვლებათო
თუკი ქანქარ-ჯამაგირი
არ მოაკლდებათო.
მტკიცე წრე აქვთ მიუვალი
მაგრათ შეკრულიო,
არ მიიღონ მარზე უფრო
წარჩინებულიო.
ვინც გამოჩნდა ,,ინვალიდი''
აქ ნახა ბინაო,
ვინც კი სამზღვარ გარეთ იყო
და მოილხინაო.
ვაი ჩემო კიდობანო
ჩემო ტაძაროვო,
ნუთუ მისთვის აგაშენე
სხვას ჩაგაბაროვო.



## ახალი ამბები.

✦ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ამურის რკინის გზის კონცესია თავად ნიკო თავდგირიძეს მიეცაო. Дѣло мастера боится!!

✦ ქუთაისის სატუსაღოში კიდევ ყოფილა ორი ტუსაღი, რომელნიც, მიუხედავათ მრავალ-გვარი გადამდები სენისა, ჯერ ავათ არ გამხდარან.

✦ საზღვარ-გარეთ ზნეობა დასრულებულ ნ. ლორთქიფანიძის წინადადებით „ნაკადულის“ რედაქციაში მოსალოდნელია შესდგეს კრება, რომელსაც მიზნათ აქვს სარედაქციო კომისიიდან გამორიცხოს ი. გომართელი და მის ნაცვლად მიიღოს ნიშადურელი ზნეობით ალქურვილი ზ-ნი ხეობელი.

✦ სათავად-აზნაურო ბანკში თავისუფალ ადგილზე დანიშნულია კონკურსი. საუკეთესო გალანძღვა 1905 წლის მოძრაობისა. ევდოშვილსა და ხეობელს უფლება აღარა აქვთ კონკურსში მონაწილეობის მიღებისა. ადგილი რვა თუმნიანია.

✦ ცნობილი ფსიხოპატი ევგენი დვალი ახალი გაზეთის გამოცემას აპირობს. საჭირო თანხის მოგროვებას უკვე შეუდგა რაჭველ მეპურეთა შორის. ამბობენ, ამ წარმოებაში პავლე აკობიაც იღებს მონაწილეობასო „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“.

---

### მიმართვა.

მე მართალს გეტყვი, თუ გამიგონებ,
თუნდ სრულიადაც ნუ მომიწონებ,
შენი საქმეა, მე არ მაქვს დავა,
გიტყვი, არ მისმენ—გაჰქრება, წავა,
მყის შეინძრევა მხოლოდ ჰაერი
და არ დარჩება აღარაფერი...
მხოლოდ გულს დაკრავს სევდის ღრუბელი
და გამიტაცებს ფიქრი შავბნელი...
მაგრამ თუ მისმენ, არ მოსტყუვდები,
ჩემ მიერ თქმულს რომ ჩაუკვირდები;
ნუ გაგიტაცებს სიმდიდრე, ფული,
პირადი შვება, განცხრომა სრული.
მით ნუ ამაყობ და ნუ იქადი,
ნივთიერია ის, ცვალებადი!
დღეს ის შენ გატკბობს, ხვალ სხვისი ხდება,
ასე ყოფილა, ასეც იქნება.
გახსოვდეს მუდამ შრომისა შვილი,
ცხოვრებისაგან მძიმედ დასჯილი.
მას უნდა ძმობდე, იმას შველოდე.
რადგან შენც მის ხვედრს უნდა ელოდე.

ცხოვრების აწმყოს ეგ სულ არ გაჰკვირს,
მას ვინ შეხედავს და ასდებს ადგილს?
მაშ, გაფიქრებდეს მაშვრალთა ბედი,
მონის უღელქვეშ მოხრილი ქედი!
ეცადე, ტანჯულს რომ დაეხმარო,
თუნდა ამისთვის თვალი დაღვარო,
რადგან ეგ არის ჭეშმარიტება
და ამ გვარ დვაწლში კაცი არ კვდება!..

**ნ. ზომლეთელი.**

## ს ა ნ თ ე ლ ი.

(არაკი)

შანდალზე დასკუპებული
სანთელი მკრთალათ ბუტავდა,
მიმობნეულსა სინათლეს
მისას წყვდიადი სრუტავდა.
მაგრამ, რადგანაც მიდამოს
სხვა შუქი არსით ჰფენოდა,
ამიტომ ღამის წყვდიადსა
ცოტა სინათლეც შვენოდა.
უცებ თენება დაიწყო...
მზემ შუქი სტყორცნა არესა,
უხვად მოჰფინა სინათლე
ქვეყანას, მომღიმარესა.
სანთელი გაწყრა, გაბრაზდა,
ლანძღვით მიმართა სხივებსა,
და ველარ იჯერს თავის გულს,
შურისგან განასივებსა.

—

მეც მომაგონდა ის ძველი
„ცნობილი მოღვაწენია“,
რომელსაც ახალ ცხოვრების
უნარი არ შერჩენია.
ახალ სინათლეს ვერ უძლებს
მათი ჭკუა და გონება,
და ბნელეთს მიუხარიათ--
იქ არი მათი ცხონება.

ფ. რუშაველი.



## მიმართვა ეშმაკისადმი.

ნათლი-ჯან ეშმაკო!
თუ გწამს ჯოჯოხეთიო,
მოგვაშველე კუდინი
ას ოთხმოცი წვეთიო.
ჩიბათის ხეისთავებს
მოუხდება სხურება...
ზოგიერთს მეტიც უნდა
ზურგისა შეხურება.
მამასახლისს და მწერალს
რადგან ხელს აფარებენ
და ამით კი ქურდებსა
ალხენენ ახარებენ,
ბოქაულსაც, მარა ჯერ—
ვნახოთ დანაპირები,
იქნებ მართლა იმასქნას
ეგ ჩიბათის გმირები.

.......ა



## პ ა ს უ ხ ა თ

(თავადს ალექსანდრე მაჭუტაძეს)

„ნიშადურში“ დაგებეჭდა
თქვენ წერილი, ალექსანდრე!
დღემდე ვეღარ გიპასუხე,
რადგან ვეღარ ვნახე ადრე.
მე თავადსა ნიგოითელს
მცირე ლექსი თუ შევკადრე,
იქ სახელდობრ არ რა მითქვამს,
თქვენ-კი თქვენ თავს რათ აკადრე?
და სარკეში თუ კნიაზო,
დაინახე თქვენი თავი,
და თუ კიდევ თქვენ გაწერენ
მეზობლები ან და სხვაი?
აქ აბა რა დაგვრჩენია
მოსამართლის საკითხავი?
და თუ შობით? მე რატომ ვსწერ?!
ვახ! მოგიკვდეს ჩემი თავი.
ის თუ არ ჰგავს თქვენს ცხოვრებას,
მაშ ხომ ადარც შეგეხებათ,
თუ პილპილი არა სჭამეთ
ბრძანეთ, პირი რათ გეწვებათ?

**შხანკოლა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ორი ეშმაკი.

არკადის პრინცი.

**მეორე.** როდესაც გახლდი არკადის პრინცი
ვექილი ვიყავ
ძმაო ნაფიცი,
ქალები იყო ჩემი ოცნება,
მათ ვეთაყვანო
მომეცით ნება.
**პირვ.** Громче! მკაფიოთ!
**მეორე.** (მორცხვათ) პრინცი რომ ვიყავ არკადიელი,
მელიის კუდი
მიჩანდა გძელი,
გამომცემლობას მოვკიდე ხელი
სახე ფლიდი მაქვს
წვერი წითელი...
**პირვ.** ბიზ! ვიცანი, ვიცანი. ბიიზ!
**მეორე** (თამამათ).
პრინცი რო გახლდი არკადოვანი
ლოთი ვიყავი
და ახოვანი,
დავსწერე ლანძლვა ვისიც ჯერ იყო
ბანკში ალაგი
გამომჩენიყო...
**პირვ.** ვააშააა! ბიიიზზზ!
**მეორე.** (ალტაცებული).
ოდესაც ქართლის გახლდი პრინცესი
ზნეობა მქონდა
სჯულთ უმტკიცესი,
და ერთობისა მარად მკიცხველი
ხეობელის ვარ
მხოლოდ მკითხველი...
**პირვ.** ჰო, ჰო, ჰოჰოოო! ბიიიზზზ! ბრავოოოო!
**მეორე.** (თავმომწონეთ).
როდესაც ვიყავ არკადის თვალი
სტუდენტთა კასის
დამედვა ვალი,
მაგრამ არა მსურს გადავიხადო
თუმცა წერილი
მომდის მრავალი..
**პირვ.** გაუმარჯოს! ბრავოოო. ბიიიზ!
**მეორე** (მედიდურათ)
პრინცი რომ გახლდი „ამირანელი“
სოციალიზმსა
ჩავკიდე ხელი,
მაგრამ ვაგლახა „პასუხი მცირე“
არ იქნა ველარ
გამოვიტირე...
**პირვ.** ბიზზზზზზ! ბრრრავო!
**მეორე.** (აღფრთოვანებული)
პრინცი რო გახლდი მე იმერელი
ზნეობის სწავლად
პარიჟს წაველი...
იქ შევისწავლე ღვინო და ქალი
დღეს „ნიშადურის“
გავხდი მწერალი...
**პირვ.** ვაშა! ვაშა! ბიიიზ!
**მეორე.** (უმეტეს აღფრთოვანებული).
პედაგოგობის მქონდა სახელი
პრინცი რომ ვიყავ
მე არკადელი,
და „უჩებნიკი“ ერთი დავსწერე
ლოცვა-კურთხევით
უხვათ გავბერე...
**პირვ.** (გაჯავრებული) ძირს! ძირს! ძირს!
**მეორე.** (უფრო გაჯავრებული)
როდესაც გახლდით პრინც-რეჟისორი
არვინ მიჩანდა
სცენაზე სწორი
და ისეთ როლებს მოვკიდე ხელი
რომ ვიყავ დიდათ
გასაკიცხველი.
**პირვ.** ვიცით. ვიცით! ძირს!..
**მეორე.** (აღშფოთებული)
მაშ წავა პრინცი არკადიელი
წყრომით აღსავსე,
არ მადრიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კვალად აღარ გამობრუნდება
თუნდ ტაშის ცემით
გაგისკდეს ხელი.
(მიდის.)

შირვ. (აღტაცებული) ბიიიზზზზზ! ვაშა!
(ფარდა).



## კ ა ლ ა მ ს.

რა ამაყი ხარ კალამო
ვერ მოგდრეკს შიშის ზარია,
გენიის ცეცხლზე ნაწრთობი
სიცოცხლის დროშა-ფარია.
უსაზღვრო ბრძოლის სიბრაზით
გადმოჩქეფს ოფლის ღვარია,
შენ ციურ ცვართა დაფრქვევით
გრძნობას მოიცემს მკვდარია.
მაგრამ ცხოვრება ჟინია
დუხჭირათ მოსაბრუნები,
ვერ არყევს იმას გენია
სალხენი გასათბუნები,
და ხალხის გულიც კრილია
ვერ ათბობს ცხელი სხივები,
მისთვის „ცნობადის“ ხილია
მარგალიტ აზრთა მძივები.
იგი ბედს ემორჩილება
გრძნობები მოხუცებია
და თმენა-თმენა გაძლება
აი რა უფასებია.
გულში ჩაუკლავს ტანჯვები
ნაღველი დაუგუბია
და კერპს საქვეყნო მონების
აი აქ დაუგებია.
რათ არ გასკდები ნაღველო
გრძნობებო რათა შმორდები,
ქვეწარმავალთა საბუდარს
რათ არ გარიყავ შორდები.
უფსკერო სევდის მორევო
რატო არ დაიშრიტები,
რათ არ მოქარგავს სიცოცხლეს
ციური მარგალიტები.
გენიის ცეცხლზე ნაწრთობო
გეტრფი და გემუდარები,
გაალხვე ცივი გრძნობები
შენ ცხელს ოფლს ვენაცვალები.
გაათბე გული ხალხისა
მოჰბანე მწუხრი თვალები
მოსწმინდე სევდის ჭრუბელი
მტანჯველი გამაწვალები.
კვლავ აღამხედრე კერპის წინ
გარინდებული ძალები,
კვლავ მოუკიდე სამსხვერპლოს
გენიის ცეცხლის ალები,
იმღერე საგათენებო
საქვეყნო გასაგონები
ნუ დადონდები არ დასცხრე
შენს ათვარს დავეკონები.

ვასილ ტუქსიშვილი.



## მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი.

გაზაფხულისა შვენებავ,
ნაქებო თვეო მაისო,
მესტვირულისა სათქმელათ
გთხოვ კარგათ წამახალისო,
ამიწყო გუდა ქამანჩა,
გვერდით კი მუზა მამისო,
ამბები ბევრი მათქმიო,
მაღლა მთის, დაბლა ბარისო.
დროული კაცი გახლავარ,
მნახველი ბევრი რამისო,
და მსურს სტვირის ხმებს შევუწყო,
რაც გულში ბოლმა არისო!
ეხლა ამბავი დავიწყო,

ღმერთო მიმართე ხელიო,
არ გამიჯავრდე ეშმაკო,
შენგანაც შველას ველიო;
წელში გამირჭვე, გეთაყვა,
შენი მათრახი მწველიო,
რო არ დამირჩეს ნატვრის დროს
ის ფანრით საძებნელიო;
თან გზიდან ჩამომაცალე
ვალიკო ქაობელიო,
გვარათ გუნიათ ხმობილი
და დანოსების მთხზველიო;
მე დამიტოვე ,შევამკო
ბატონი ხეობელიო,
წინათ კოლიას ძმობილი,
დღეს ბანკის კარის მცველიო.
მახსოვს ერთ სოფელს ერთ დროში
ჭაბუკი დანავარდობდა,
ბიძიას მამულ-დედულში
თავს მოურავათ ლამობდა,
თან ამაყობდა, თან კიდევ
უხეიროდაც ფრანტობდა,
თუმც ვექილობა არ ქონდა,
ყოველ ჟამს ადვოკატობდა;
გლეხების დასარბევათა
ინგუშთა რაზმებს აწყობდა,
გლეხს შავ დღეს გაუთენებდა,
თუ სადმე წამოასწრობდა.
თან ახლდა რკინის მოძმენი:
რევოლვერ-ხანჯალ-ხმალიო,
ბერდანის თოფი ნაფერი,
ზედ დაგრჩებოდა თვალიო,
ახლა სულიერ მოძმეთაც
ბევრი ყავს ჩასათვალიო:
კოლა ნემსაძე, მიტუშა,
ეს აბაშიძე მყრალიო,
წერეთლის რაზმის ბიჭებიც
მასთან გვინახავს მთვრალიო,
რომ უმღერიან დუქნებში
„ჰარალი თარა-ლალიი“!
ამ აზნაურულ ჭაბუკმა
ერთხელ გაიგო ამბათა,
რომ უმიწაწყლო გლეხები
მივლენ ტყის გასაკაფათა,
სურთ მოხნან, პური მოთესონ,
თავს აიცდინონ ჭირია,
ცოლ-შვილს საჭმელი უშოვონ,
მოუსპონ გასაჭირია...
ჭაბუკი იქვე გაუჩნდა,
მოუჩანს ქუში პირია,
ლერწამტანს შვენის აბჯარი
და საჭურველი ხშირია,
მაგრამ გლეხებმაც იციან
მაგვარ ყმაწვილის ნირია:
„ჰკა მაგასაო“ დასძახეს,
ცულებს უმარჯვეს პირია,
ჩამოირეკეს თავდაღმა,
ვითარცა ქალის ვირია,
აჰყარეს მთელი სილაღე,
საომრად მონაპირია,
და სამჯერ თავში შემოჰკრეს
მისივე ხანჯლის პირია.
ეს ოხერი დრო ასეა
ყოველთვინ ცვალებადია,
ყველა სულდგმული იცვლება,
რაც ღვთისგან დანაბადია!
ის წინანდელი ჭაბუკი
დღეს სულ სხვა გვარი ხვადია,
ხეობელს ირქმევს სახელათ
(ეს მისი პირის ბადეა),
ვითომ გლეხთათვის ეხლა მას
ბევრი სიკეთე სწადია,
მაგრამ ეს თურმე ჩმახვაა,
საპოლემიკო ფანდია;
ამ ხრიკით ბანკში ოთხმოცი
ქანქარი განიმზადია,
ზნეობის მქადაგებელი
მუდამ წუმპეში აგდია,
და უნამუსოს სახელი
რომ უნდა ერქვას, ცხადია.
დასრულდა ესე ამბავი,
ჩემგან თხრობილი მღერითა,
ხეობლის წარსულს ამხანათ
ცოტათ შევეხეთ წერითა,
ჩემო ეშმაკო მიშველე
შენი მათრახის წვერითა,
ვწერ ვინმე ეშმაკეული
ქვესკნელით მონაბერითა,

ბენუკა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ფელეტონი.

## ჩემს სატრფოს.

(ლექსი პროზათ).

სატრფოვ, მშვენებავ, ედემისა ტურფა სურათო! ბროლ ქათქათ შუბლსა სევდის ჩრდილი გადაგფარვია!.. კდემა გულისა, მითხარ, შენში რამ წარმოშობა? რამ მოჰკლა შენში ადრინდელი შვება-ხალისი? როცა კისკისით, საამური შენი სიცილით, ან კიდევ ნაზი, ხმა სირინოზ ტკბილი სიმღერით და სიკეკლუცით, ტრფობის ალით გაშუქებული ყვრიმალ-ფართო თვალებით შემოხედვა-მოალერსებით ციურ ხატებას, გარმონიის უზენაეს ღმერთს ხორცს შეასხამდი, ჩემს წინ ცხადათ განაცხოველებდი და იყავ ჩემი, მხოლოდ ჩემი... მაგრამ რას ვამბობ? შენ მზე იყავი და ამიტომ ყველას ათბობდი. მხოლოდ მთავარ სხივს, სიცოცხლისა უძლიერეს ძარღვს ჩემს ტანჯულ გულში აკალმებდი... გულს წყლული აჩნდა, იარებით იყო მოცული და შენ ჰკურნავდი, ათბობდი მას ციური ცეცხლით და ამისგამო იგი ფეთქდა, ტოკავდა ძლიერ და ელექტრონის მედგარ ძალას გაადვივებდა... და ეს ძალაც ხომ შენი იყო, შენი განგრძობა! ისიც ჰკურნავდა გულს შენაკრთობს, წყლულ-იარიანს, ისიც ათბობდა, აშუქებდა ცივ-უკუნეთსა და ასე ქვეყნად იფანტოდა, არ ჰქრებოდა კი, რადგან ის იყო უკვდავება, მხოლოდ სიცოცხლე!..

მერმე რა მოხდა? რამ შესცვალა ეს ყოველივე? ან ეგ ცრემლები... მარა ცრემლი ადრეც გჩვევია. როცა ტანჯულ გულს, სუსტს, უღონოს, დაავადებულს [illegible] სახეს მიაპყრობდი, ცხოველმყოფელ სხივს იმის ბნელს წიაღს ჩაატანდი, ჩააშუქებდი, იხილავდი რა მის აღდგენას, განახლებასა, და — სიცოცხლისთვის ის რომ კვალად აფეთქდებოდა, შენაც იშვებდი, გახარებდა ესე შემთხვევა და ნეტარების ცხარე ცრემლს თვალთ აფრქვევინებდი... მაგრამ ეს ცრემლი სულ სხვა არი, სხვა მიზეზითა. წინათ იშვებდი, მაშვინ ცრემლიც შვებისა იყო. დღეს მისცემიხარ ერთიანად მძიმე კაეშანს, რადგან ნადველი, ჩემი სევდა გულს შეგპარვია და ეგ ცრემლიც დღეს ამის გამო სევდის ცრემლია.. შენ გლოვაში ხარ! დიახ, მძიმე დანაკლისია! იყო სიცოცხლე—დღეს ყოველი სუდარაშია, იყო სინათლე—დღეს კი ირგვლივ უკუნეთია, კვლავ იყო სითბო—დღეს ყოველი გარინდებულა და სდუმს გარემო, თითქოს სძინავს გაუღვიძარად, თითქოს ქვად იქცა სიცოცხლით მტოკავი გული...

შენ იგლოვ ამას! სევდის ჩრდილი სახეს დაგკვრია. მძიმე ფიქრთ ქვეშე თავ-დახრილი ჰგი უიმედოთ, თითქოს დაჰკარგე ყველაფერი სამარადისოთ... მაგრამ მე?!. აი შემოხედე ამ გმირულ მკერდსა! შენ სცოცხლობ მასში და იქნები მარად ასეთი! ის არ შესდგება არავითარ განსაცდელის წინა, ოღონდ აცოცხლოს თვისი სატრფო, თვისი იმედი! სატრფო გულისთვის, გული კიდევ საყვარლისათვის — აი დევიზი! მტკიცე რწმენა ჩემი გულისა ის შენთვის იწვის, ვით სამსხვერპლო ალ აღგზნებული. შენთვის ტანჯული შენით ცოცხლობს, შენ გაიმედებს... მაშ, შორს ეგ ფიქრი! გადახადე შუბლს სევდის ფარდა და კვლავ შეიმკე მშვენებისა შარავანდედით. ტრფობის ალერსით შემომხედე, კვლავ მომაშუქე, გაშალე ტუჩი გაზაფხულის ია-ვარდივით და ხმა გამეცი, გამაგონე სიტყვა-იმედი, რომ ელექტრონის ნაპერწკლად გულს დაეკვესოს, აღინთოს იგი ციურ მადლით აღტყინებული, მეც აღმამაღლოს, გამამხნევოს, გამახალისოს და მომცეს ძალა, რომ ცხოვრების ეკლიან ველზე დავინთხე ოფლად, ოღონდ მოვსპო მთლად ბოროტება! მივფანტ-მოვფანტო ტლანქი ძალის ბნელი ბურუსი, გავცელო ნარი, ამოვთალო ძირში ეკალი და გაზაფხულის განთიადსა გზა გავუკაფო, რადგან ის არის გარანტია, სრული თავმდები იმის, რომ ქვეყნად დამყარდება შვებასიამე! ჭეშმარიტება, სამართალი და სიყვარული! და ჩვენს კავშირსაც გზად და ხიდათ ის დაედება!.. მაშინ დავტკბები საამური შენი ცქრიალით, სიცილ-კისკისით, ხმა ნარნარი შენი სიმღერით, განცხოველდება ჩვენს წინაშე კვლავ გარმონია, იდეა ტრფობის სიცოცხლესთან შეთანხმებისა და იმის ფრთეთ ქვეშ ჩვენც განვაგრძობთ წინსვლა ისევა მომავლისკენ, უკეთესის მერმისისკენ, სადაც მეუფობს უკვდავება მხოლოდ სიცოცხლე...

**ნ. ზომლეთელი.**

*
* *
(ლერმონტოვიდან)

კვლავ ისე მკვირცხლათ არა, არა, აღარ მიყვარხარ,
ეგ სილამაზე აღარ მიძღვნის თვის ბრწყინვალებას,
შენში სიყვარულს კი ვატარებ თუმცა მარადის,
მაგრამ მით ვეტრფი დაღუპულს წლებს, სიყრმის წვალებას.

როცა ხანდახან შემოგხედავ და შენს თვალებში,
ჩავჩერებივარ ხანგრძლივათა დაკვირვებული,
საიდუმლოთა მაშინ მუდამ მე ვლაპარაკობ,
მაგრამ საუბარს შენ არ გიძღვნის იმ დროს ეს გული!
მე ვლაპარაკობ მეგობართან ყმაწვილურ წლების,
შენსა ფარგალში მინდა პოვნა მისი ხატების,
მეტყველ ბაგეში ვეძებ ბაგეს დიდხანს მდუმარეს
თვალებში—ცეცხლსა სამუდამოთ მიმქრალ თვალების!..

**რ. ლეჩხუმელი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# აჩრდილი.

სულით მახინჯი,
ზნეობით წბილი
ღვინით ნაქღენთი „მამულიშვილი“,
(რადგან სინდისი
არ ამხილებდა)
მელანს და კალამს აცოდვილებდა.
კარგა ხანია
ტვინის ხიცინი
აწუხებს, როგორც მწერლობის ქინი
და „მეგობრებსა“
მან სამსახური
ბევრი მიუძღვნა ფრიად დათვური.
ფლიდობა, ლანძღვა,
ცილის-წამება,
სალოცავია მისი,—სამება;
და აზრ კუდრაჭა
გონება კრული
ამაზე არის გადალეული.
ის არ დაგიდევს
საქმისა ბოლოს,
ოღონდაც არის ლაფი ისროლოს,
ახლაც ამ ურცხვმა,
ძველებურათა,
ვითომც ესდეკთა მოსამდურათა,
მოულოდნელათ
გამოაცურა
საგურამოსი კარიკატურა.
ამით ეგონა
ამ უსუსურსა,
მგოსანს უწევდა დიდ სამსახურსა;
ესდენ მოკლეა
გონება მისი
და ასე დიდი—წერის ხალისი!!

უცებ, შეშფოთდა
„მოღვაწე“ წბილი,
თავს წამოადგა მგოსნის აჩრდილი
და ნაძირალა
ქართულ მწერლობის,
ავტორი მრავალ სისულელობის,
დააცეცებდა
ცბიერ თვალებსა
ამ მოჩვენებით დანამფრთხალებსა.
ბოლოს ელირსა
ხმას საამოსა:
—„შვილო დაეხსენ საგურამოსა!
მაგ მოგონებამ
გულის ტკივილი
სრულიად ვერა დამიამოსა.
ვიცი გწადია
შენ ჩემი ქება,
მაგრამ ეს ამ გზით არ მოხერხდება;
დაეხსენ კალამს,
სხვას დააცალე
შენ კვლავ სცენაზე იმაჩანჩალე.
„ნუ თუ“ არ გახსოვს
თქმულება ხალხის,
სადაც ეს დიდი სიბრძნე იმარხვის,
რომ „მეგობარი
ტვინით წამხდარი
მტერზედ უმეტეს არს საშიშარი?“
დაეხსენ შვილო
საგურამოსა,
ვერარას მეტყვი სასიამოსა“.
მაგრამ „მოღვაწე“
კაცის მჭამელი
„ჭეშმარიტია ნამდვილ ქართველი“
და არც კი ფიქრობს
სხვას დაუჯეროს,
მუდამ ჟამს უნდა იგაიძვეროს,
თუმცა აჩრდილმა
უკეთ იცოდა,
სოფელში ღვაწლი რაც მიუძღოდა.

—კი.




**ბათუმის გარდაცვალება და დასაფლავება.**

მწუხარებითა ვაუწყებთ,
ვისაც შესტკივა გულია,
რომ პორტის ქალაქს ბათუმსა
უკვე ამოძვრა სულია.
ავათმყოფობამ შეჭამა,
დიდხანს ეწვალა საწყალი,
მაჯა უცემდა სუსტათა,
დასჩემდა გულის ფანცქალი.
უქანქარობის ბაცილა
ფილტვებში ქონდა შემძვრალი.
ტვინის ანთებაც გაუჩნდა,
ჭკუაზედ გახდა შემწყრალი;
წელშიც გაუჯდა წელკავი,
დაბრმავდა ორივ თვალებით,
ხრონიკულ უსაქმლობისგან
კუჭიც გაუხმა სავსებით.
და აჰა, ველარ გაუძლო
ამდენ ჭირთ შემოსევასა

და მიიცვალა, დაგვტოვა,
გული დაგვწყვიტა ყველასა.
უკვე დამარხეს საწყალი,
დაადევს კატაფალკაზე
და „ვაი-ვაის“ ძახილით
მიაჩანჩალეს საფლავზე.
**ქალაქის თავი ივანე**
სულ შემოსილი შავათა
უკან მისდევდა ცხედარსა,
მოსთქვამდა გულსაკლავათა.
და **მოადგილე გიორგიც**
შეჰყრო სევდა ვარამსა,
იმისი კვნესა-ვაება
ცასაც წვდებოდა მაღალსა.
**ივანე სეკრეტარია**
ფიქრებს წაეღო მწველებსა
და უქონლობით თავზე თმის
იგლეჯდა ულვაშ-წვერებსა.
**ანდრიაც**, დამწუხრებული,
ღვრიდა და ღვრიდა ცრემლებსა,
**ბიჭია, პარმენ, სამსონი**
მკერდში იცემდენ ხელებსა.
**მიხაკოც ჩიხლაძიბითურთ**
მოიკვნესოდა კრძალვითა,
**დიმიტრი** ცრემლებს თვალებზე
იწმენდდა ჩოხის კალთითა.
სხვებიც ტიროდენ ბათუმსა,
უდროოთ მიცვალებულსა
და უსურვებდენ—ცხონება
მინიჭებოდა მის სულსა.

—

ასე მოგვიკვდა ბათუმი,
გვეუფლა სევდა-ნაღველი...
ღმერთმა აცხონოს, ერთ დროში
ქალაქის ქონდა სახელი...

**კენტი.**



## გამოცანები.

(ლანჩხუთელებისთვის)

ისრა მასრა, ის ვინ არის
ტყავის მძრობი ცოცხალ-მკვდარის,
ძველათ დიდი ბლაღოჩინი,
დღეს უბრალო მღვდელი არის.
თეთრი წვერი გაბურძგნული
ბეჭებშია მოღანდული,
„დურმიშხანულს“ ხშირათ გზავნის
დაუკარჩლონ დრამა ფული.
მიქიაშვილს „იმგვარებში“
არვინ ყავდა ამისთანა,
დღეს ცრუმოწმეთ დასდგომია
თვალით ხედავს ეს ქვეყანა.
თანაშეწე კარგები ყავს
სასახელო სამი პირი...
მიქეევი გაამართლეს
ეს ცნობილი ფარნის გმირი.

**შხანკოლა.**

---

## ს ც ე ნ ა.

### ვაჭრის ცხოვრებიდან.

ეჰ, ამ დღესაც მოვესწარით: გუშინდელი ჩემი დუქნის ბიჭი, დღეს ჩემივე პატრონი გამხდარა და როგორც უნდა ისე მათამაშებს ის ხაზეინია და მე მოჯამაგირე.

დილის ათ საათზე მობრძანდება, გეგონება ოკროჟნი სუდის პროკლოვიაო, ჩამოვა დუქანში, შემოიდებს ფეხი-ფეხს და ზაგრანიჩნი გაზეთს კითხულობს, თითქოს გოსუდარცკი დუმის პრედსედატელი იყოსო. მაგრამ რას ეტყვი კაცო, თუ უთხარი საქმეს არ აკეთებო, მაშინ ვაი შენი ბრალი! ხელათ მედიატორცკი სუდს დაგინიშნავს, მერე წადი სდიე. მე შენ გითხრა ჩვენი ჰამქრის ხალხი იყოს შიგ, რომ რამე მოახერხოს კაცმა. სულ საციმბირო სტუდენტებით და გძელთმიან ცოციალისტებით არის გაჭედილი იქაურობა. მერე ნეტავი გათქმევინონ რამე... კაცო, ჯანდაბას ყველაფერი, თუ რამე არა სთქვი თავის გასამართლებლათ, მაშინვე გაგაჩერებენ: ეს საგანს ასცდიო, ეს კაცის პირს ნუ ეხებიო„ რის კაცის პირი? რის საგანი? კაცო, ბიჭი დამიჭერია უნდა მემსახუროს. ვა, ღრუბერნატორი ხომ არ არის, რომ ჰამ ჯამაგირი ვაძლიო, ჰამ ბატონათ გავიხადო არა, სადაური ზაკონის კანონებში სწერია ერთი მიბრძანეთ თქვენი ჭირიმეთ!? კაცო, ცამდის მართალი რომ იყო, მაინც შენ გაგამტყუნებენ. შენა სტყუი, შე ბურჯუა შეჲაო, ви, ღоворитъ минаватъ, васъ ღоворитъ на бомбъ нада взорваитъ, ღоворитъ. Ви наши кровъ випиваитъ, ღоворитъ, ви нашимъ трудомъ такъ ражирелъ, ღоворитъ. какъ Росiицки свиня, ღоворитъ. მოდი ეხლა ეს მოითმინე ამ ლაწირაკებისაგან!?

**გ. ნუცუბიძე.**





# წერილები ეშმაკისადმი.

**სამტრედიის რაიონი.** მოვისმინე რა „ჯვარცმისტ“ თავად-აზნაურთა ტკბილი კამათი აგრარულ საკითხზე და დავაცხრე რა ამ კამათით აღტყინებული მოკამათენი, სოფ. ეწერისკენ ვქენი პირი. მინდოდა გამეგო როგორ ატარებდენ ბრწყინვალე დღესასწაულს ეწრელები. როგორც საზოგადოთ იციან, ეწრელებსაც ბურთის თამაში გაემართათ. მე შორი-ახლოს დავდექი და დავუწყე ყურება. უცბათ, შეიქნა ყვირილი, შენ მტერს მე რომ საქმე დამემართა, შიშით ერთი ისეთი შევხტი, ისეთი შევხტი, რომ შენი მოწონებული. მეგონა „წესიერებას იცავენ“ და ამოგვხოცეს ყველანი მეთქი. თურმე ნუ იტყვი, ერთ მოთამაშეს ფეხი მოეტეხა და საშინლათ ღრიალებდა. მომივიდა ბრაზი, ვიძრე მათრახი და ვუცხუნე; რაკი ყვირილს უმატა დასამშვიდებლათ ჩემი უებარი წამალი მივაღებინე და სოფელ დათოურისაკენ გავქანდი, ვამეხის სამფლობელოში. აქ ბრწყინვალე წოდებას კამათი გაემართა (მაშ თამაშობას როგორ იკადრებდენ, დარბაისელი ხალხია) ბჭობდენ დღევანდელ საჭირბოროტო კითხვებზე. ვამეხის მოღვაწეობას განქიქებას უშვრებოდენ. როგორც კამათიდან გამოირკვა, ვამეხის წყალობით სიმინდის ფასს დიდათ არ აუწევია იქ, რადგან ვამეხს დიდი ღვაწლი მიუძღვის წყლის გაყვანაში თურმე. ვამეხის საკითხმა მოკამათენი ორ ბანაკად გაყო და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ იერიში მიიტანეს ერთი-მეორეზე, შეიქნა გვერდების ზელა. აბა მეც რა ხელს დავაკლებდი, დრო ვიშოვნე, ავათამაშე ჩემი მათრახიც და სრულიად კმაყოფილი გავუდექი სოფელ დიდიჯიხაიშისაკენ. აქაც ბევრი ხალხი ვნახე თავმოყრილი. განმარტოებით რამდენიმე კაცს მოეყარა თავი და გაცხარებით კამათობდენ. დაუგდე ყური, ორ დიდათ საინტერესო კითხვას არჩევდენ: 1) ქეიფობა და 2) აკორდი. პირველი კითხვის შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა რაჟდენმა, ხოლო მეორეს იოსებმა. სწორე უნდა ვსთქვა ორივე კარგათ მომზადებულიყო და ღირსეულათაც დაიცეს საკითხი. პირველ საკითხს ბევრი მომხრეები გამოუჩნდა. გასაგიჟებელი სიტყვა წარმოსთქვა რაფიელმა შემდეგ თემაზე: ღოთობა და მისი პოლიტიკოეკონომიურ-ფსიხოლოგიურ-ფიზიკურ-ზნეობრივი გავლენა თავდადებულ ღოთზე“. ხუთის სიტყვიდან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ღოთობას ფრიად დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს უმეტესათ სოფლის ხალხისთვის. მომხრეებმა ტაშისცემით დააჯილდოვეს ორატორი, მოწინააღმდეგეებმა მუშტები მომართეს და ასტყდა აქაც ჩხუბი. მეტი რა გზა მქონდა, ორატორიდან დაწყებული სათითაოთ ყველას ვაგემე ჩემი მათრახი.

მინდოდა ცოტა რამ აქაურ ფოსტის მოხელე ლადოზე მომეწერა, როგორ ამოყო თავი ქუთაისის მაგივრათ ტფილისის ოკრუგში, მარა შემდეგისთვის იყოს.

„ჩორთიკ“.

—

**სად. საჯევახო.**

აგი ჩვენი საჯევახო,
ეშმაკო ჯან, შენ რომ ნახო
გაკვირდები, იმდენია
საცემი და სამათრახო.

როცა დროება დაგირჩეს,
წამოხვიდე აქეთ სამე,
ჩვენს განათლებულ სადგურშიც
გაათიე ერთი ღამე.

თუ რომ დაროჟნი მასტერმა
გზას გადაღმა არ გაგიშოს,
იმდენი მისცხე მათრახი:
რომ ველარ იანგარიშოს.

მერმე გადადი ბაზრისკენ,
ზინგერის მაღაზიაში
და ვინც რომ ნახო ჩამჯდარი
ხელი წაჰკიდე ყიაში.

ამ ახალგაზრდებს მუდამ დღე
დასჩემდათ კარტის თამაში;
თუ გინდ წააღჩვე ყველაი
არ გაგამტყუნებთ ამაში.

შემდეგ შანიძის დუქანში
თვალს მოკრავ კამათელსაო
და იმედი გვაქვს გაიქნევ
მაგ შენს მადლიანს ხელსაო.

აქ არის ახალგაზდების
მოთამაშეთა კლუბიო,
ისე გაჰკარი,—მათრახი
თვალში უჩანდეს შუბიო.

ეგ მუდრეკები უფრთხიან
გაზეთებსა და წიგნებსო
და ან კი ამის გამეტსა
ვითომ და რას შეიგნებსო

რადგან იციან არონებზე
ქეიფობა და თრობაო
ურჩიე შენი „კუდინიც“
მიირთვან ერთი გზობაო.

გამქცევი.

—

**საყდრიონიდან.**

ძმაო ეშმაკო, ჩვენ საყდრიონსაც
გთხოვ არ დააკლო მათრახი მწველი,
რადგან ჩვენაც გვყავს სოფლის ურგები,
სახელწოდებით გრიგოლი მღვდელი.

ტყავი გაგვაძრო ამ უსამართლომ
რასაც მიმოწმებს მთლად მისი მრევლი,
ერთ დროში კიდევ „ზუნტოვჩიკობდა"
ეს ესფერების თავის მომჭრელი.
მაგრამ, ძმაოჯან, წინეთ სხვა გახლდა,
ახლა სულ სხვაფერ მოქმედებს ხალხში:
სოფლის ერთგულსა მასწავლებელსა
„უდურმიშხანა" პოლიციაში
განკარგულებას არ მოუცადა
გადაუყარა ლოგინი კარში,
და საყვარელი მასწავლებელი
გარეთ დასტოვა სიცივ-ავდარში.
ეს არაფერი, ძმაო ეშმაკო,
ზარისთვის ფული შემოგვაწერა,
ვინც ვერ შევიძლეთ ფულის გადახდა,
ბარგი-ბარხანა სულ აგვიწერა.

მისმა ასეთმა „ღვთის სამსახურმა"
ღმერთს გეფიცებით მთლად გაგვაშტერა,
მაგრამ ფულები მიაიმასქნა,
სამრეკლოს ზარი არ უჩანს ჯერა.
ეგრე, ძმაოჯან, ჩვენაც გვეწვიე
თან წამოიღე შენი მათრახი,
და აგვიტირე მწარე ცრემლებით
ეს უსამართლო მღვდელი ახმახი.
იქნება ამით მან მოიგონოს
„ერთ დროს ყოფილი, ერთ დროს ნანახი"
ამაზედ მეტად არ გაგვიძვიროს
წინ გასაძლოლი მკვდრების სამარხი.

ცხო-მთიული.



ანდღულაძის ლინეიკა (ბახვიდან ოზურგეთამდე).

## ბახვიდან ოზურგეთამდე.

ბახვიდინ ოზურგეთამდე
სულ შვიდიოდე ვერსია
და ლინეიკით მგზავრობა
ჩვეულება და წესია.
მეეტლის სიტყვა-პასუხიც
ერთთავად მოსაწონია,
იყიდი ბილეთს, დაჯდები,
წავალ და ჩავალ გგონია.
მაგრამ დაიძვრის „კარეტა?",
მშვიდობით გვერდის ძვალებო,
მშვიდობით თავო, ფეხებო
განმწარ-განიწვალებო.
თხრილში თუ არსად ჩაგჩეხა
მადლი შესწირე გამჩენსა,
პატარა გაწამაწის
ნახავ ვერც დათვილი იმდენსა.

თაგვის ოდენა ცხენები
ფეხს აბიჯებენ ძლივასა,
ზედ მეტა დაქანცულობით
ველარც კი სჭამენ თივასა.

ძვალსა და ტყავზე დამდგარნი
სპიჩკის ღერს ემსგავსებიან,
თუ ერთი წაიფორხილეს
სამ საათს ველარ დგებიან.

პატრონი ამა „კარეტის"
ძლიერ გულ-უხვი ჯელია,
ვარს არვის ეტყვის მიაწყდეს
თუნდაც სოფელი მთელია.

დაადებს ბარგი-ბარხანას
ვისაც რა მოეზიდება...
ზოგს თოკით აკრავს, ზოგს აწყობს
ზოგიც ხომ დაიკიდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ მგზავრებსაც ჩააწყობს
ხუთმეტზე არა ნაკლებსა,
იმ რიგათ გაიჭედები
რომ დაგამტვრევენ ბარკლებსა
ბოლოს დაუსტვენს „ბედაურს“
ისინიც წელში წყდებიან,
ბენცელ-ბენცელით ხან მესერს
ხან ლობეს მიაწყდებიან.
მიჩოჩავ განამწარები
შენი მეეტლის ფიცისა,
და როდის ჩახვალ ოზურგეთს
ეს არც ეშმაკმა იცისა.

**დურლჩნელი.**

—

**თფილისიდან**· ძმაო ეშმაკო!
ტარტაროზთან გეახელი
მან კი შენთან გამომგზავნა
და მითხრა, რომ შენ გეკუთნის
სადარაჯოთ ეს ქვეყანა.
მაშ მონახე ვოგზლის ქუჩის
ანდრეევთან შესართავი,
იქ ელისო დაგიხვდება
ქართულ პურის გამყიდავი.
უთხარ: სასწორს ნუ აბრუნდებს
და გირები დასდოს სწორათ
თუ ზურგი არ ექავება
მას მათრახით გასაჯოხათ.

—

**ქუთაისიდან**. ძმაო ეშმაკო! ვიტუშკინის აფთიაქის არენდატორი ნიკო გრიგორია ძრიელ უმადურია შენი. რამდენი სამათრახო საქმე არ მოუგვარებია და შენ არავითარ ჯილდოს არ უგზავნი. დიდი ღვაწლი მიუძღვის მეტადრე „ფარმაცევტთა კავშირის“ წევრთა გაიმასქნაში· მას შემდეგ, რაც მისმა თანაშემწემ წამლებს შეცდომით მიამასქნა და ამით აყალ-მაყალი გამოიწვია, გრიგორია ხომ სულ აშკარათ იმამობოდა. ამ აგიტაციის შემდეგ კავშირის წევრებიც კი დაიმასქნეს, მაგრამ ისევ გამოაიმასქნეს. ეს არ არის, ძმაო ეშმაკო, მთელი მისი მოღვაწეობა, მაგრამ ამ მცირე წერილითაც დარწმუნდები, ხომ ერთი ორი მათრახის კუდი ალალი იქნება მისთვის.

**შავი.**

—

**ხაშური**.
ძმაო ეშმაკ, მართალია
ხაშურლები ბევრჯერ ნახე,
მაგრამ მაინც ბლომათ დარჩა
დამერწმუნე სამათრახე.
იცი, ძმაო, რომ აქ შესდგა
ძმა-ბიჭების „კომპანია“?
სულ ერთია მაგათთვინა
ვინც მართალი და მტყვანია.
თავ·უკულმა სჯიან საქმეს
მოწინავედ ცნობილები,
და სიმართლეს გაურბიან
ეგ უმანკო მსაჯულები.
ერთ კრებაზე მიმიწვიეს
(ირჩეოდა სამართალი)
ბრალმდებელი ხარხარებდა
ამაყობდა ვით მართალი.
თურმე იყო, ძმაო მტყვანი
მაგრამ ყავდა ძმა-ბიჭები,
ტყვილის თქმაში ნაწრთობები
შენაფიც·შენაპირები.
კრება გახსნეს, ითათბირეს
(ჩაუკვირდი კარგათ ძმაო)
მართლად იცნეს „პეტრე“ მაგრამ
დაადგინეს ის სტყუაო!!!
რა ეს ვნახე გამიკვირდა
გული სევდით ამერია,
არ ვიცოდი ჩვენს მუშებში
ასეთებიც თუ ერია.
მხოლოდ „საშიკოს“ ვიცნობდი
უვიცს გოგრა ცარიელსა,
კოლასა და ისიდორეს
მოწინავედ ცნობილებსა.
მათ გონიათ რომ სიმართლეს
არ ექნება გასავალი?
კერძო შურით გაქლენთილსა
აბნევიათ გზა და კვალი ..
როს მოხვიდე, გვინახულო
შეეკითხე მათ ქცევაზე,
და უთხარი რად გამწყრალან
ნეტავ აგრე ზნეობაზე?
მათრახიც ხო თან გექნება
გადუჭირე მათ რიგ-რიგათ,
რომ სიმართლე გაიხადონ
მომავალის გზა და ხიდათ.

რიჟა.

—

**ს. ქვიტირი**. მამასახლისი ყუბანეიშვილი და მისი მწერალი კუხიანიძე ძალიან „გაიმასქდენ“ და ალებასა ქანქარისა, გამოსარჩენათ წოდებულისა, არა აქვს დასასრული. ეხლა გამოიგონეს გზის კეთება და ისეთი „დახოდი“ აქვთ, რომ თქვენი მოწონებული. თუ მათრახის ღირსი იყონ, ნუ დაგვიგვიანებთ, გამოგვიგზავნეთ.

სიკვდილი.

—

**ს. შემოქმედი**. აქ შესდგა სამი ახალი პარტია, „ვასილისტები“—ლიდერი ვასილ ყარგიშვილი; „ამბაკისტები“—ლიდერი, ამბაკო ლეჟავა და „მირიანისტები“—ლიდერი მირიან აბაშმაძე. ამ ახლო ხანში თვითოეულ პარტიას საკუთარი სიეზდი ქონდა და პროგრამაც საბოლოოთ შეიმუშავეს. ეხლა მხოლოდ თქვენი მათრახი აკლია და იმედი გვაქვს არ მოაკლებთ.

ჩაქუხელი.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ს. მუხური** (სამეგრელო). სამი წელიწადი იქნება, რაც სამი „ღვთის კაცი“ ავათ გაგვიხდა, კეგვაია, ქუთარი და გახა. 1905 წლიდან სამივეს საშინელი ენის ქავილი აქვთ ავარდნილი და ვერავითარმა საშუალებამ ვერ გასჭრა დღემდე და მათი განკურნება არ იქნა. ყველა ექიმებმა გასინჯეს, გომართელმაც კი ნახა, მარა მათ ავათმყოფობას ვერაფერი გ.უგეს. ეხლა გადავწყვიტეთ, ვსინჯოთ თქვენი „სპერმაკუდინი“, იქნება ღმერთმა მოგვხედოს. გამოგვიგზავნეთ სამი ბოთლი. ამასთანავე ჩვენი მღვდელისთვის ცალკე გამოგვიგზავნე უფრო სხვაფრივ შემზადებული, რადგან ის სხვაფერ ავათ არის.

გამომძიებელი ეშმაკი.

—

**მერევის საზოგადოება** (შორაპნის მაზრა).

ძმაო ეშმაკო! გისურვებ
სატანამ გმატოს დღენია,
რომ დაგვივიწყე არ გვნახე
ეგ ძნელი მოსათმენია!!
უშენობითა სოფელი,
ძალიან მონაწყენია.
აქეთაც ბევრი არიან
სინდისით შენარცხვენია,
სჭირდებათ შენი მათრახი
გვერდებზე დასაფენია.
პირველათ ნახე არჩილი
როსტევანისა ძენია,
ბარათაშვილი „მწერალი“,
ხალხისგან შენაჩვენია.

დიდი ხანია დაიწყო,
საგმირო საქმე ქებული,
გლეხები სულ მთლათ გასწურა,
კუჭი ვერა ჰყო ვსებული.
ერთობის დროში შეიქნა
ხალხისგან გაშავებული.
რადგან სინდისი გაყიდა,
ქანქარით ამოცხებული,
და გაიპარა ქუთაისს
უპირო გაშავებული.

კვალად მობრუნდა სოფელში
გლეხებიც დაჰყვენ ნებასა,
ცხრაასს მანათსა აძლევენ,
მით შეეყარენ ენებასა.
ხომ იცი, ძმაო ეშმაკო,
ნაჩვევ არს ჯიბის ვსებასა.
გამოსარჩენი არ აჰკრას
ველარ გაუძლებს სნებასა.

იქავე არის ,,სტარშინა‘‘,
ახმახი, ქერა თმიანი,
ფთხილათ იყავი ეშმაკო,
არ მოგაყენოს ზიანი,
სუნით დაეძებს ეშმაკებს,
რომ დაიჭიროს რქიანი
სადაცა ჯერ არს გაგზავნოს
დღე ველარ ნახოს მზიანი.

მაშხალა.

—

**ქ. ფოთი.** ძმაო ეშმაკო! ჩვენ ბაყაყეთში ბევრია სასპერმაკუდინო, ბევრია სამათრახო, მაგრამ ყველას ერთბაშათ ვერ გაუსწორდები. ჩამოდი ერთი, შეიარე უპრავაში და დასცხე შენი მათრახი ყველას, რადგან ისინი ქანქარის ყლაპვის მეტს არას აკეთებენ. დაცხე აგრეთვე ალექსი ბზიავას, პავლე რორუას, ჩიქოვანს და სხვა ქართველ შავრაზმელთა ბელადებს, რომლებიც დურმიშხანული ოინებით მუშებს მახეებს უგებენ.

შემდეგ შენის მათრახით ჩაუარე ბეგლარ მამალაძეს, გოგია შარაშიძეს და აქსენტი აბსავას და ყველას ეამბორე შენი მათრახის კუდით. თანაც უთხარი კამათი კამათია და მუშტები მუშტებიათქო. სხვებზე შემდეგ.

—

ფოთელი ფედერალისტები ,,ჭეშმარიტ ქართველთა ტიპიური წარმომადგენლები არიან. ბ-ნი მიხა ამ მხრივ პირველია. ეს „ჭეშმარიტი ქართველი‘‘ ჩინებულათ ხელმძღვანელობს ფოთელ შტრეიკბეხერებს, ყველგან ეჩხირება, კარგათაც სცანცლავს ქანქარებს. ის არაფერს ზოგავს, ოღონდ უჯარო გენერლებმა არმია იშოვონ და აი კარგი ამინდიც დაუდგათ. მზათ არიან მათთვის ბზიავა-ჩიქოვან-რორუები და კომპ.

—

**მედგარის დღიურიდან.** „რაც იაკობი ფოთს მოშორდა, მას შემდეგ ჩემი ჭორის გუდა დაჭკნა, მას შემდეგ ჩემი მოჭიკჭიკე კალამი დადუმდა. ჩემი სულიერი მამა იაკობი რაც ნიკობურგს მოშორდა, მას შემდეგ ბევრს ვეცადე, მაგრამ ვერ გავბერე ჭორების ქამანჩა აქაურ ესდეკებზე. ხელი მივყე არშიყობას, მაგრამ აქაც ვერას გავხდი. დამებმა ჩემი ბანაკიდან სულ სამასხროთ ამიგდეს. ბულვარში ხშირათ გამოვდივარ, მაგრამ ჩემი ჭეშმარიტ ქართველური გული ბრაზით ივსება, როცა, შეგნიშნავს, რომ ქართველი კაცი სემიჩკას ღეჭავს. რა გარყვნილობაა! დღეს ვქეიფობ. მაქვს რითაც გავიხარო. ჩემი მოსისხლე მტერს ციხეში ჩაუსვამთ. ოჰ, ვაცოცხლე ის პრისტავი, რომელმაც ეს საშვილიშვილო საქმე მოიმოქმედა. დღეიდან თავისუფლათ ამოვისუნთქავ, მაგრამ ვაი თუ გამოუშვან! გავიგე ტულუშის სტამბას კეტავენო და სიხარულით ფეხზე ვერ ვდგები; ჩვენ ასკანელ პრაკოფიას და გოგია შარაშიძეს კონკურენტი მოაკლდებათ. ეს მერამდენეჯერაა დაიმასქნეს ტულუში პოლიციას, მაგრამ მაინც მოახერხა სტამბის გაღება. ვქეიფობ დღეს მე, ქეიფობს მიხა, გრიშა, კოწია, მთელი ჩვენი ბანაკი ამ ამბით გახარებული! მაშ გაუმარჯოს ვინ-ღანის დამჭერს, გაუმარჯოს არესტებს.

ვოლდემარ.

—

**დ. ყვირილა**·—ერთი მუშა გაგვიხაზეინდა· რასაკვირველია, როგორც ხაზეინს შეფერის, გახაზეინებასთან ერთათ ხელათ შეითვისა ყველა მისი თვისებები და უმეტესათ ლანძღვა-გინება· თუ იმას წინათ თავის ხაზეინი ლანძღავდა, სამაგიეროთ ის ეხლა თავის მუშებზე ყრილობს ჯავრს და ერთი ორათ ლანძღავს. ამას წინათ ერთი მუშის „შემუშტვაც“

კი მოინდომა, რადგან მან სამ მანეთათ და ისიც ნისიათ ათასი აგური არ დაუმზადა. სანამ გვიან არ არის მათრახი ძალიან არგებს.

გრიცკო.

—

**ბორჯომი.**—მეტათ უხერხულ მდგომარეობაში არიან ხვთისო შალუტაშვილი და ივანე მელაშვილი. რამდენი ხანია იერიში მიაქვთ შვილებზე და შვილი შვილებზე, მაგრამ არაფერი ეშველათ ვერ გარეკეს სახლიდან. ერთხანათ ადმინისტრაციასაც კი მიმართეს—დაიჭირეთ ჩვენი შვილები და მოგვაშორეთო, მაგრამ ამაოთ. აბა უსაბუთოთ რას იზამდენ. ძალიან მოხუცებული არიან და 10 წვეთი სპერმაკუდინი ეყოფათ გონზე მოსაყვანათ. კანტორშიც მიშა უზნაძეს და მამულის მმართველს სპერმაკუდინთან ერთათ მათრახიც აუცილებლათ დასჭირდებათ, უმეტესათ მიშას, რადგან სხვის ღობეზე ხტომა დაიწყო ამ ბოლო დროს.

ანტონიკა.

—

**ნახალოვკა.**—სახლის პატრონ გლახა მიქაძეს მდგმურების ლანძღა გინება დასჩემდა ამ ბოლო დროს მას მხარს უჭერს ს. ძნელაძე (მუშა). ორივე ერთათ კი მათრახის მოლოდინში არიან.

ნახალოვკელი.

—

**ხონი.**—ჩვენებური მეყასბე-მეპურეები მეტათ გაიტაცა ქანქარის სიყვარულმა მათზე აღარავითარი ნიხრი აღარ მოქმედობს, როგორც უნდათ ისე ყიდიან ყველაფერს. ყასბებ-მეპურეებზე არა ნაკლებ შეუყვარდა ქანქარი-თუ რაღაც ჯანდაბაა ფოტოგრაფ სოსელიძეს. თუ „დაფათრეთდა“ ვინმე ვაი მის დღეს, თუ „ფათრეთი“ პატრონს არ დაემსგავსა (რაც ხშირი მოვლენა) პატრონმა აუცილებლათ უნდა წაიღოს, რადგან ხელ-ახლა გადაღება სოსელიძის პრინციპის წინააღმდეგია. ამ სენსაციურ ამბების გარდა აქ ორმა ახალგაზდამ ხელი მიჰყო „ვეჩერინკების“ გამართვას, რადგან „დოხოდნაია სტატია“ გამოდგა. ეხლა განუძრახავთ ,,ვეჩერისტების'' საზოგადოების დაარსება. ერთი სიტყვით ხონის საქმე უკუღმა ტრიალებს და მეტათ საჭიროა ერთი მათრახის დატრიალება.

შენი ურჩი.

—

**ს. აბაშა.** მართლა თუ რომ ეშმაკი ხარ,
აბა მითხარი სად არი?
ჩვენი სამკითხველოსათვის
შემოწირული ქანქარი?
აბა მიჩვენე რა იქნა:
ან ნივთები ანუ ცხვარი?*)
მითხარ რას შვრება მზრუნველი,
ან კომისია საწყალი?
თაგვებს რათ მისცეს წიგნები,
რამ დაუბნიათ დავთარი?

ნოცხვა.

*) ქანქართან ერთად შესწირეს
ნივთები და ერთი ცხვარი
თუმცა ლა დღეს აღარა სჩანს
არც მისი გზა არცა კვალი

# დეპეშები

(საკუთარი კორესპონდენტებისგან)

**სამტრედია.** აქაურ „კლუბში“ კაი გრაკხის წარმოდგენის დროს დ. ჩარკვიანს დამბლა დაეცა. ის დაუყონებლივ გაგზავნილ იქნა ფოთის საავათმყოფოში.

**იქიდანვე.** ამ მოკლე ხანში წარმოდგენილ იქნება „დამარცხებულნი“. ვანო ბერძიაშვილის როლს შეასრულებს ვ. გოგია. რეჟისორი კარ. კობახიძე.

**კულაში.** ვერიჩკა, ევგენია, გიორგი და მის მეუღლას ლანძღვა-გინება დაემართათ და ავათ არიან. მოგვაშველეთ „კუდინი“.

**ლიხაური.** ხიტილაურზე კ. შ და ლ. ჭ—ს დუქანში რამდენიმე ახალგაზდებმა კამათლებს და ღვინოს ცუდი დღე დააყენეს. რომ ისტორიამ არ დაივიწყოს მათი ღვაწლი, თუ მათრახმა არ გასჭრა, შემდეგში ადვბეჭდოთ თქვენ ჟურნალში მათი სახელგვარები.

**ფოთი.** ხარინის ცირკში ზამუკოვის და მაისურაძის ჭიდაობის დროს პატრიოტულმა გრძნობამ იფეთქა. აქაურმა „ჭეშმარიტმა ქართველებმა“ ქართველური გულადობა გამოიჩინეს და „სამუშტოთ“ დაემზადენ. არავინ დაშავებულა.

**მუხიანი.** აქ შესდგა ორი ძლიერი პარტია ,,მოხირვისტთა“*) და ,,გავლენისტთა''. მოხირვისტთა ლიდერები არიან იოსებ მელაძე და ისიდორე, ,,გავლენისტთა'' გაბრიელი და საბა შალამბერიძე. პარტიებს დიდი შეჯახება მოსდით.

**გუბი.** მოსე, მიხა და გიორგის დუქანში სახალხო საკარტო უნივერსიტეტი გახსნეს. ახალგაზდობა ძალზე ეტანება.

**ქუთაისი.** ფარმაცევტების პაპებმა ,,ალიოშა'' და ,,იუსტინე''-მ ქუთაისში გახსნეს ათვთიაქის შეგირდების გასატუავებელი ქარხანა. აქაურებს უკვე გაუკეთეს აპერაცია და ეხლა სხვა ქალაქებიდან იწვევენ ტყავ-გასაშპობებს.

**ქ. პერმი.** პერმის გუბერნიის გადასახლებულები დიდ მადლობას სწირავენ ქართველ ს.-ფედერალისტებს რომ პარტიულ მიზნით ჯარი უთხრეს ,,ამირანის'' გაგზავნაზე.

**ჩოხატაური.**—ფოსტის კანტორის გამგე ბ. კეკელიძე ავათ გაგვიხდა. როცა სტუმრათ არის სადმე სტოლზე აფურთხებს და იქ დამსწრეთ ლანძღავს. აქაური ექიმი ქანქარის მოყვარული კაცია და უფულოთ არ სწამლობს, თორემ იქნება განკურნებულიყო. ეხლა კუდინი უნდა ვცადოთ.

**ჯურუყვეთი.** დიმიტრი გიგინეიშვილის მეთაურობით აქაური თავად-აზნაურობა ხელათ გაფედერალისტდა და როგორც პარტიის პროგრამის პირველ მუხლში სწერია, მოღვაწეობა ს.-დემოკრატების ლანძღვა-გინებით დაიწყეს. გადაწყვეტილი აქვთ მოიწვიონ გოთუა-გუნია, რომ უფრო კარგათ შეისწავლონ ლანძღვა-გინების ლექსიკონი.

*) მოხირვა მეგრულათ ნიშნავს ქურდობას.

## „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა

**თ-რე გოგიშვილს**—თქვენი „გურული სცენა“ და ლექსი „გამოცანა“ არ დაიბეჭდება. ვინაიდან არც ერთი და არც მეორე...

**კახიანური**—გზათ გამვლელს: „დაგვეხმარეთ“ არ დაიბეჭდება.

**ოზურგეთი**—ციხისუბნელს—სწორეთ ცეცხლია თქვენი „ის რა ცეცხლია“-ს დაბეჭდვა და ნუ გეწყინებათ თუ ვერ ვბეჭდავთ. გამომძიებელ ეშმაკს—გამოვიძიეთ და ვერ ვბეჭდავთ. პროზათ აჯობებს.

**აქსტაფა**—ვლადიმერს. ვერ გაიგეთ, რომ ბოქაულებზე წერა არ შეიძლება და მათი მოქმედების განქიქება ძვირათ ღირს? თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**რაკაკიძეს.**—თქვენი ლექსები ვერ დაიბეჭდება გარდა ერთისა.

**ოტტო-მადერის ქარხანა**: ლადიმერს—ლექსი არ დაიბეჭდება.

**ჯუმათი**—მეხს. თქვენ წერილს ვერ ვბეჭდავთ. თუ გზათ მოგვიხდა გამოვლა თქვენ სადგურის უფროს და მის თანაშემწეს გავაიმასვიზამთ.

**ჯურუყვეთი**—მეხს. მამასახლის მწერლები საზოგადოთ ქანქარისტები ხრიან და რათ გიკვირსთ, რომ თქვენ მწერალ-მამასახლისსაც ჰქონდეს „გამოსარჩენის“ მიდრეკილება.

**ჭიათურა**—კალ—კე ჭანჭათელს. რათ გიკვირთ, რომ პერევისის მამასახლისი ილანძღება? ეს ყველა ადმინისტრატორის პროგრამის პირველი მუხლია? ლანძღვა არაფერია თუ მასსაჟიც არ იცის.

**ქუთაისი**—პლიკვაძეს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**შაქრო ნავთლუღელს.**—თქვენი ლექსი „მუშა“ არ დაიბეჭდება.

**ბერო ხელიძეს**—თქვენი ლექსი „გუნიას რაზმი“ აბა რა დასაბეჭდია.

**თურდოსპირელს.**—თქვენი ლექსი „გოლოვინსკზე მოსიარულე მოსწავლეთ“, რომ დავბეჭდოთ ბატები გვიჩივლებენ.

„უგუნურნო ბატებივით
თავი ზე რომ აგიღიათ,
დაწანწალებთ დალაქლაქებთ
პირი უშნოთ დაგიღიათ“.

ასე იწყება თქვენი ლექსი და მოსწავლეებმა რომ არაფერი სთქვან, ბატები ხომ მაინც არ შეგვარჩენენ გალანძღვას. არც „გაზაფხული“ დაიბეჭდება.



ქუთაისის ქვაფენილი.

იოლათ ნუ დაენდობით
ქუთაისის „ქვა-ფენილებს“,
სადმე ორმო დაგიხვდებათ
და დაიმტვრევთ წინა კბილებს

მისთვის ზრუნვა დაავიწყდათ
როგორც „მამებს“, ისე „შვილებს“.
რაკი ტკბილათ ჩაებარგენ
სამსახურის ბუდე-თბილებს.

**არწივი.**

რედაქტორ-გამომცემელი **თ. ბოლქვაძე.**

ელექტრომბეჭდავი, ამხ. „შრომა“ რუსსკაია ქ. № 3.